



საქართველოს კონკურენციის
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

ანტიდემპინგურ შესწავლაში იმპორტიორი კომპანიების კითხვარის შევსების გზამკვლევი

სარჩევი

I. შესავალი	3
II. ზოგადი კომენტარები	3
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. კორპორატიული ინფორმაცია	7
3. პროდუქტის შედარება	9
4. ინფორმაცია შესწავლის ობიექტის შესყიდვებზე	10
5. მნიშვნელოვანი ტრანზაქციები (შესყიდვები და შემდგომი გაყიდვები)	13
6. შესწავლის ობიექტის მთლიანი გაყიდვები	15
7. სადისტრიბუციო სისტემა და ფასები	15
8. დასაქმების მაჩვენებლები	18
9. მოგება/ზარალი	18
10. სხვა საკითხები	19

I. შესავალი

წინამდებარე გზამკვლევი განკუთვნილია ანტიდემპინგურ შესწავლაში მონაწილე დაინტერესებული პირებისთვის. გზამკვლევი მიზნად ისახავს შესწავლაში მონაწილე იმპორტიორ კომპანიებს მიაწოდოს ერთიანი, მკაფიო და პრაქტიკული მითითებები კითხვარების შევსებისა და ინფორმაციის სათანადოდ წარდგენის თაობაზე, რათა შესწავლის ორგანომ შეძლოს ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი და ობიექტური შეფასება.

დოკუმენტი ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობასა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) პრაქტიკას, რაც მიზნად ისახავს ანტიდემპინგური შესწავლის პროცესში გამჭვირვალობის, თანასწორი მონაწილეობისა და პროცედურული სამართლიანობის უზრუნველყოფას.

გზამკვლევი განმარტავს კითხვარების შევსების წესებს, ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარმოდგენის მოთხოვნებს, კონფიდენციალურობის პრინციპებს, ასევე დაინტერესებული პირების თანამშრომლობის მნიშვნელობას.

წინამდებარე გზამკვლევი კითხვარების შევსების პროცესში ანტიდემპინგურ შესწავლაში მონაწილე იმპორტიორებისთვის დამხმარე დოკუმენტს წარმოადგენს და იგი სარეკომენდაციო ხასიათისაა. ამავდროულად, სააგენტო მზად არის, პირდაპირი კომუნიკაციის არხების მეშვეობით გასცეს პასუხი ნებისმიერ კითხვას, რომელიც წარმოდგენილ გზამკვლევში მითითებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით შეიძლება წარმოიშვას.

სააგენტოს საკონტაქტო მონაცემებია:

- ✚ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
- ✚ 154 აღმაშენებლის გამზ., 0102 თბილისი, საქართველო
- ✚ ცხელი ხაზი: 15 20
- ✚ ტელეფონი: 032 205 44 22
- ✚ ელ. ფოსტა: info@gcca.gov.ge

II. ზოგადი კომენტარები

ა. დოკუმენტაცია

დაინტერესებული პირის მიერ კითხვარის შევსება წარმოადგენს ანტიდემპინგური შესწავლის ფარგლებში ინფორმაციის წარდგენის ძირითად ფორმას. შესაბამისად, კითხვარში მითითებული ყველა სექცია და ცხრილი უნდა შეივსოს სრულყოფილად, დადგენილი ფორმატისა და სტრუქტურის დაცვით.

წარდგენილი ინფორმაცია უნდა ეყრდნობოდეს კომპანიის ბუღალტრულ, ფინანსურ და კომერციულ ჩანაწერებს და იყოს გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით, მათ შორის პირველადი დოკუმენტებით (კერძოდ: ინვოისებით, საბაჟო დეკლარაციებით, ხელშეკრულებებით). დაინტერესებულმა პირმა აგრეთვე უნდა მიუთითოს მონაცემთა წყარო, შესაბამისი საანგარიშო პერიოდი და საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული გაანგარიშების მეთოდოლოგია.

დოკუმენტის ძირითად ნაწილში უნდა აისახოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ აუცილებელია შესაბამისი საკითხის გასაგებად. დეტალური ცხრილები,

განგარიშები და დამხმარე მონაცემები წარდგენილი უნდა იყოს დანართების სახით, ხოლო ძირითად ტექსტში მათზე სათანადო მითითება უნდა გაკეთდეს.

სასურველია დაინტერესებულმა პირმა შესწავლის შემდგომი ეტაპებისთვის შეინახოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად უდევს კითხვარში წარმოდგენილ ინფორმაციას, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მათი დამატებით წარდგენა ან გადამოწმება.

ბ. კონფიდენციალურობა

შესწავლის ორგანო კანონმდებლობის შესაბამისად ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია. შესაბამისი სუბიექტი, შესწავლის ორგანოს მიერ კითხვარით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, უფლებამოსილია მიმართოს შესწავლის ორგანოს წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ შემთხვევაში სუბიექტი ვალდებულია წარმოადგინოს კითხვარის კონფიდენციალური და არაკონფიდენციალური ვერსიები ცალ-ცალკე. ამ უკანასკნელის შინაარსი გასაგები უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

კითხვარის პასუხებში წარმოდგენილი ინფორმაციის კონფიდენციალურად ცნობა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არაკონფიდენციალური ვერსიის წარდგენის პარალელურად, განმცხადებელი შესწავლის ორგანოს ასევე წარუდგენს წერილობით დასაბუთებას, რომ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება კონკურენციის პირობებში უპირატესობას მიანიჭებს მესამე პირს ან ამას ექნება უარყოფითი შედეგები ინფორმაციის წარმდგენი პირისთვის ან იმ პირისთვის, რომლისგანაც დაინტერესებულმა პირმა ასეთი ინფორმაცია მიიღო.

შესწავლის ორგანო უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს წარდგენილი დოკუმენტის არაკონფიდენციალურ ვერსიას და დამატებით მოითხოვოს მონაცემების სხვა ფორმით დაფარვა ან თავად უზრუნველყოს დოკუმენტის არაკონფიდენციალური ვერსიის შემუშავება.

მონაცემების არაკონფიდენციალური შეჯამების მომზადებისათვის, როგორც წესი, გამოიყენება ინდექსირება, რაც გულისხმობს პირველი პერიოდის მონაცემებისათვის საბაზისო მნიშვნელობის მინიჭებასა და შემდგომი პერიოდების ინდექსების ამ საბაზისო მნიშვნელობასთან მიმართებით შეფასებას.

ქვემოთ მოცემული მაგალითი აჩვენებს, თუ როგორ ხდება კონფიდენციალური მონაცემების (GEL/ტონა) წარმოდგენა ინდექსირებული, არაკონფიდენციალური ფორმით საბაზისო წელთან (2024) მიმართებით.

კონფიდენციალური ინფორმაციის ინდექსირება	2024	2025	2026
კონფიდენციალური ვერსია	GEL 1,450/ტ	GEL 1,580/ტ	GEL 1,620/ტ
არაკონფიდენციალური ვერსია:	100	109	112

ინდექსი = (მიმდინარე პერიოდის მაჩვენებელი / საბაზო 2023 წლის მაჩვენებელი) × 100

მაგ.: 2024 — $(1,580 / 1,450) \times 100 = 109$; 2025 — $(1,620 / 1,450) \times 100 = 112$

გ. ზოგადი ინსტრუქციები

პასუხები შესწავლის ორგანოში წარმოდგენილი უნდა იყოს ფიზიკური ან ელექტრონული ფორმით, პირველ გვერდზე მითითებულ მისამართზე.

დაუშვებელია კითხვარის ან მისი რომელიმე სექციის შეუვსებლად დატოვება. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული კითხვა არ ეხება დაინტერესებულ პირს, უნდა გაკეთდეს მკაფიო მითითება (მაგ. „არ მეხება“).

შესწავლის ორგანო უფლებამოსილია გადაამოწმოს წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე, მოითხოვოს დამატებითი მონაცემები, განმარტებები ან შესაბამისი დოკუმენტაცია.

დაინტერესებული პირის მიერ ინფორმაციის მიუწოდებლობის, არასრულად ან დაგვიანებით წარმოდგენის, ან შესწავლის პროცესის შეფერხების შემთხვევაში, შესწავლის ორგანო უფლებამოსილია დასკვნა მიიღოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

კითხვარის შევსებისას სირთულის წარმოშობის შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს შესწავლის ორგანოს საწყის გვერდზე მითითებული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით.

შესწავლის ორგანოსთან ყოველგვარი კორესპონდენციისას უნდა იყოს მითითებული საქმის ნომერი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სწორ იდენტიფიცირებას.

სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაციის წარდგენისთვის, აუცილებელია კითხვარში წარმოდგენილი ინფორმაცია გამყარებული იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით.

ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს ერთგვაროვანი, სტრუქტურირებული ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფს მის ადვილად გაანალიზებასა და გადამოწმებას. ყველა ცხრილი, გაანგარიშება და მონაცემი დაკავშირებული უნდა იყოს შესაბამის წყაროსთან და საჭიროებისამებრ, თანდართული უნდა იყოს გამოყენებული მეთოდოლოგიის განმარტება. წარდგენილი მასალა უნდა იყოს მკაფიოდ იდენტიფიცირებული (ფაილის დასახელება, ცხრილის ნომერი, სექციის მითითება).

შეცდომის გამოვლენის ან ინფორმაციის განახლების საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შესწავლის ორგანოს და წარადგინოს შესწორებული ინფორმაცია შესაბამისი განმარტებით.

ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს დადგენილ ვადებში. ვადების დარღვევამ შესაძლოა იმოქმედოს წარდგენილი ინფორმაციის შეფასებაზე.

დ. იურიდიული საფუძველი

ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლა ხორციელდება საქართველოს კანონის „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების, აგრეთვე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) „ანტიდემპინგური შეთანხმების“ (Agreement on Implementation of Article VI of the General Agreement on Tariffs and Trade 1994, შემდგომში - ADA) პრინციპებისა და დებულებების შესაბამისად.

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. დაინტერესებული პირის იდენტიფიკაცია

შესწავლის ორგანო, შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კითხვარით მიმართავს კანონით განსაზღვრულ ყველა ცნობილ დაინტერესებულ პირს. კანონის მიზნებისთვის, დაინტერესებულ პირებად ჩაითვლებიან შემდეგი პირები:

- ✚ შესწავლის ობიექტის ექსპორტიორი, იმპორტიორი და უცხოელი მწარმოებელი;
- ✚ სავაჭრო ან ბიზნესგაერთიანება, რომლის წევრთა უმრავლესობა წარმოადგენს შესწავლის ობიექტის მწარმოებლებს, ექსპორტიორებს ან იმპორტიორებს;
- ✚ შესწავლის ობიექტის ექსპორტიორი ქვეყნის მთავრობა;
- ✚ მსგავსი პროდუქტის ადგილობრივი მწარმოებელი;
- ✚ მომხმარებელთა გაერთიანება;
- ✚ მწარმოებელი, რომელიც შესწავლის ობიექტს იყენებს წარმოების პროცესში.

კითხვარი ჩაბარებულად ჩაითვლება დაინტერესებული პირისთვის მისი ჩაბარების დღიდან. დაინტერესებული პირები ვალდებული არიან, კითხვარის მიღებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში წარუდგინონ პასუხები შესწავლის ორგანოს. დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არა უმეტეს 10 სამუშაო დღით.

ინფორმაცია მიწოდებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი შესწავლის ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, მის იურიდიულ მისამართზე ან/და ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

1.2. დაინტერესებულ პირთა უფლებები

- ✚ **წარმომადგენლობა:** ჰყავდეთ ადვოკატი ან/და წარმომადგენელი საქმის შესწავლის პროცესში.
- ✚ **ინფორმაციის წარდგენა:** შესწავლის ორგანოს წარუდგინონ პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე.
- ✚ **საქმის მასალების გაცნობა:** გაეცნონ საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით.
- ✚ **ვადის გაგრძელება:** მოითხოვონ ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება კანონისა და წესის შესაბამისად.
- ✚ **კონფიდენციალურობა:** კანონით დადგენილი წესით, მოითხოვონ მათ მიერ შესწავლის ორგანოში წარდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა.
- ✚ **აცილება:** განაცხადონ აცილება შესწავლის ორგანოს თანამშრომლის მიმართ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 93-ე მუხლის მიხედვით.
- ✚ **სხდომის მოთხოვნა:** მოითხოვონ განხილვის სხდომის გამართვა.

1.3. დაინტერესებულ პირთა ვალდებულებები

- ✚ **ინფორმაციის მიწოდება:** შესწავლის ორგანოს მიაწოდონ მის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა შესწავლის ორგანოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში.

- ✚ **ვერიფიკაციაში ხელშეწყობა:** ხელი არ შეუშალონ შესწავლის ორგანოს უფლებამოსილ პირს/პირებს წესის მე-9 მუხლის მიხედვით ვერიფიკაციის პროცედურის განხორციელების პროცესში.
- ✚ **თანამშრომლობა:** ითანამშრომლონ შესწავლის ორგანოსთან შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე.

2. კორპორატიული ინფორმაცია

2.1. ზოგადი კორპორატიული მონაცემები

დაინტერესებულმა პირმა კითხვარის პირველ სექციაში უნდა წარმოადგინოს მისი იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი კორპორატიული ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს მისი იურიდიული სტატუსისა და საკონტაქტო მონაცემების განსაზღვრას.

აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

- ✚ კომპანიის სრულ სახელწოდებას;
- ✚ იურიდიულ ფორმას;
- ✚ იურიდიულ მისამართს;
- ✚ საკონტაქტო ტელეფონს;
- ✚ ელექტრონული ფოსტის მისამართს;
- ✚ საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაციას (სახელი, პოზიცია/ფუნქცია კომპანიაში, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი).

წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, განახლებული და შესაბამისობაში სამეწარმეო რეესტრის მონაცემებთან. დაინტერესებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს, რომ საკონტაქტო პირები იყვნენ უფლებამოსილი შესწავლის ორგანოსთან კომუნიკაციისთვის და დროულად წარადგენდნენ მოთხოვნილ ინფორმაციას.

იმ შემთხვევაში, თუ კორპორატიული ან საკონტაქტო ინფორმაცია შეიცვლება შესწავლის პროცესში, დაინტერესებულმა პირმა უნდა აცნობოს ამის შესახებ შესწავლის ორგანოს.

2.2. იურიდიული წარმომადგენლობა

იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი წარმოდგენილია იურიდიული ან სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, კითხვარის მე-2 სექციაში უნდა მიეთითოს წარმომადგენლის შესახებ სრული ინფორმაცია.

აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

- ✚ კომპანიის დასახელებას;
- ✚ საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაციას (სახელები და მათი ფუნქციები);
- ✚ მისამართს;
- ✚ ტელეფონს;
- ✚ ელექტრონული ფოსტის მისამართს.

დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა ან სხვა შესაბამისი დოკუმენტი), რომელიც ადასტურებს მის უფლებამოსილებას იმოქმედოს დაინტერესებული პირის სახელით ანტიდემპინგური შესწავლის ფარგლებში.

წარმომადგენლის მეშვეობით კომუნიკაციის შემთხვევაში, შესწავლის ორგანოსთან ოფიციალური კორესპონდენცია წარმოებს აღნიშნული წარმომადგენლის მეშვეობით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული მისი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტში.

იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ინფორმაცია ან წარმომადგენლობა იცვლება შესწავლის პროცესში, დაინტერესებული პირმა ამის შესახებ უნდა აცნობოს შესწავლის ორგანოს.

2.3. მთავარი აქციონერები / პარტნიორები

დაინტერესებულმა პირმა კითხვარის მე-3 ცხრილში უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია კომპანიის ძირითად აქციონერებსა ან პარტნიორებზე, რაც აუცილებელია ეკონომიკური კავშირების შეფასებისთვის.

აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

- ✚ აქციონერის ან პარტნიორის სახელს/დასახელებას;
- ✚ მის წილს კომპანიის კაპიტალში (პროცენტულად);
- ✚ საქმიანობის მოკლე აღწერას.

წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა ასახავდეს კომპანიის რეალურ მონაცემებს და შესაბამისობაში იყოს სამეწარმეო და აქციათა რეესტრის ჩანაწერებთან.

იმ შემთხვევაში, თუ აქციონერი ან პარტნიორი წარმოადგენს დაკავშირებულ პირს ან ახორციელებს კონტროლს კომპანიაზე, აღნიშნული გარემოება უნდა იყოს სათანადოდ მითითებული.

2.4. ბრუნვა

დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს კომპანიის ფინანსური მონაცემები კითხვარის მე - 4 ცხრილში, განსაზღვრული პერიოდების მიხედვით.

ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

- ✚ კომპანიის მთლიან ბრუნვას;
- ✚ შესწავლის ობიექტის ბრუნვას;
- ✚ შესწავლის ობიექტის გამოყენებით წარმოებული პროდუქტის ბრუნვას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მონაცემები უნდა იყოს წარმოდგენილი ყოველწლიურად, ასევე ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი შესწავლის პერიოდის მონაცემები.

წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა ეფუძნებოდეს ფინანსურ ჩანაწერებსა და ბუღალტრულ დოკუმენტაციას, უნდა იყოს ზუსტი, სრულყოფილი და გადამოწმებადი.

იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი კომპანიის ბრუნვის მონაცემები მოიცავს სხვადასხვა პროდუქტის ან საქმიანობის ჯგუფს, დაინტერესებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს შესწავლის ობიექტთან დაკავშირებული ბრუნვის მონაცემების ცალკე გამოყოფა. ასეთი გამოყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში, უნდა იყოს წარმოდგენილი სათანადო და დასაბუთებული განმარტება.

ბრუნვის მონაცემები წარმოდგენა საჭიროა ლარში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უნდა მიეთითოს გამოყენებული გაცვლითი კურსი და შესაბამისი პერიოდი.

2.5. დამატებითი ინფორმაცია

დაინტერესებული პირის ან მისი წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სრულყოფილებისა და გადამოწმებადობის უზრუნველსაყოფად, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა იქნეს წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია.

დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ორგანიზაციული სტრუქტურის დიაგრამა, რომელიც ასახავს შესწავლის ობიექტის გაყიდვისა და დისტრიბუციის არხებს.

ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს კომპანიის კორპორატიული სტრუქტურა, მათ შორის ინფორმაცია მშობელი და შვილობილი კომპანიების შესახებ, აგრეთვე იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულნი არიან დაინტერესებულ პირთან შესწავლის ობიექტთან მიმართებით.

იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ პირს შესწავლის ობიექტთან დაკავშირებით აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობები სხვა კომპანიებთან (მათ შორის წარმოების, იმპორტის, ექსპორტის ან გაყიდვების მიმართულებით), უნდა იქნეს წარმოდგენილი შესაბამისი ხელშეკრულებების ასლები.

დაინტერესებულმა პირმა ასევე უნდა წარმოადგინოს მისი საქმიანობის ფარგლებში გაყიდული პროდუქტების ძირითადი კატეგორიების ჩამონათვალი.

გარდა ამისა, დაინტერესებულმა პირმა უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

- ✚ შესწავლის პერიოდის წლიური ფინანსური ანგარიშგებები, მათ შორის მოგება-ზარალის უწყისი და, არსებობის შემთხვევაში, აუდიტორის დასკვნა; აუდიტის არქონის შემთხვევაში შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;
- ✚ შესწავლის პერიოდში იმპორტირებული შესწავლის ობიექტის შესაბამისობისა და შემოწმების დამადასტურებელი სერტიფიკატები;
- ✚ კითხვარში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები.

3. პროდუქტის შედარება

დაინტერესებულმა პირმა, იმპორტირებული პროდუქტისა და ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებული ან/და სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული მსგავსი პროდუქტის შედარების მიზნით, უნდა შეავსოს კითხვარის მე-5 ცხრილი.

ცხრილის შევსებისას დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

- ✚ პირველ სვეტში უნდა მიეთითოს პროდუქტის უნიკალური კოდი.
- ✚ მეორე სვეტში უნდა აღინიშნოს კომპანიის მიერ იმპორტირებული ან/და გამოყენებული პროდუქტის ზუსტი დასახელება. პროდუქტი უნდა იყოს აღწერილი კონკრეტულად (მაგ. კლასი, ზომა, ტიპი).
- ✚ მესამე სვეტში უნდა მიეთითოს შესაბამისი შედარებადი პროდუქტი, რომელიც იწარმოება ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ ან იმპორტირებულია სხვა ქვეყნებიდან.
- ✚ მეოთხე სვეტში უნდა იყოს წარმოდგენილი იმპორტირებული და ადგილობრივი პროდუქტის ძირითადი მახასიათებლები და მათ შორის არსებული განსხვავებები: ტექნიკური პარამეტრები (მაგ. კლასი, დიამეტრი); ხარისხობრივი მახასიათებლები; გამოყენების სფერო (საჭიროების შემთხვევაში); სხვა მნიშვნელოვანი განსხვავებები.

- მეხუთე სვეტში უნდა მიეთითოს იმპორტირებული პროდუქტის საშუალო ფასი შესაბამისი პერიოდისთვის, ვალუტისა და საზომი ერთეულის მითითებით (მაგ. USD/ტონა, GEL/კგ).

5 - პროდუქტის შედარება				
პროდუქტის უნიკალური კოდი (PC)	კომპანიის მიერ იმპორტირებული და/ან გამოყენებული პროდუქტი (*)	ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებული პროდუქტი / სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქტი	იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების პროდუქტის მახასიათებლები და განსხვავებები	იმპორტირებული პროდუქტის საშუალო ფასი
PC-001				
PC-002				

დაინტერესებულმა პირმა უნდა დააფიქსიროს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის შესწავლის ობიექტი შედარებადი ადგილობრივ ან სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებულ მსგავს პროდუქტთან. უნდა მიეთითოს ყველა მნიშვნელოვანი განსხვავება, მათ შორის ტექნიკური, ფიზიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები, პროდუქტის კლასი და ფასები.

იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტის ზუსტი შედარება შეუძლებელია, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დასაბუთებული განმარტება.

4. ინფორმაცია შესწავლის ობიექტის შესყიდვებზე

დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია შესწავლის ობიექტის შესყიდვების შესახებ კითხვარის შესაბამის ცხრილებში (ცხრილები 6 - 8), განსაზღვრული პერიოდების მიხედვით.

4.1. შესყიდვის მოცულობა, ღირებულება და საშუალო ფასი

დაინტერესებულმა პირმა უნდა შეავსოს ცხრილები ისე, რომ ასახული იყოს:

- შესყიდვების მოცულობა;
- შესყიდვების ღირებულება;
- შესყიდვების საშუალო ფასი.

ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი:

- ყოველწლიურად (მითითებული წლების მიხედვით);
- ცალკე - შესწავლის პერიოდისთვის.

შესყიდვების მონაცემები უნდა იყოს დაყოფილი წარმოშობის ქვეყნისა და პროდუქტის სახეობის (პროდუქტის უნიკალური კოდი) მიხედვით.

დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს შესაბამისი საზომი ერთეული (მაგ. ტონა, კგ) და უზრუნველყოს მონაცემების თანმიმდევრულობა ყველა ცხრილში. შესყიდვის საშუალო ფასი უნდა იყოს გამოთვლილი შესაბამისი პერიოდისთვის და წარმოდგენილი ვალუტისა და საზომი ერთეულის მითითებით.

6 - შესყიდვის მოცულობა					
წარმოების ქვეყანა	პროდუქტის უნიკალური კოდი	2024	2025	2026	შესწავლის პერიოდი
ქვეყანა A	PC-001				
ქვეყანა A	PC-002				
ქვეყანა B	PC-002				
შესყიდვის მთლიანი მოცულობა					

7 - შესყიდვის ღირებულება					
წარმოების ქვეყანა	პროდუქტის უნიკალური კოდი	2024	2025	2026	შესწავლის პერიოდი
ქვეყანა A	PC-001				
ქვეყანა A	PC-002				
ქვეყანა B	PC-002				
შესყიდვის მთლიანი ღირებულება					

8 - შესყიდვის საშუალო ფასი					
წარმოების ქვეყანა	პროდუქტის უნიკალური კოდი	2024	2025	2026	შესწავლის პერიოდი
ქვეყანა A	PC-001				
ქვეყანა A	PC-002				
ქვეყანა B	PC-002				
შესყიდვის მთლიანი საშუალო ფასი					

4.2. ტრანზაქციის პირობები

დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს გარიგების პირობები „ინკოტერმის“ (Incoterms) შესაბამისი კატეგორიების მიხედვით (მაგ. FOB, CIF, EXW და სხვა).

ინკოტერმსი (Incoterms) არის საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) მიერ დადგენილი სტანდარტული წესები, რომლებიც განსაზღვრავს გამყიდველისა და მყიდველის პასუხისმგებლობას, ხარჯებსა და რისკებს საქონლის საერთაშორისო გადაზიდვისას. ეს ტერმინები აზუსტებს, სად გადადის რისკი გამყიდველიდან მყიდველზე და ვინ ფარავს ტრანსპორტირების, დაზღვევისა და საბაჟო პროცედურების ხარჯებს.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი პირობები:

- ✚ **EXW (Ex Works / ქარხნიდან გატანა):** გამყიდველის პასუხისმგებლობა მინიმალურია; მან საქონელი მხოლოდ თავის საწყობში უნდა მოამზადოს. მყიდველი პასუხისმგებელია ტრანსპორტირებაზე ქარხნიდან დანიშნულების ადგილამდე, მათ შორის საქსპორტო გაფორმებაზეც.

- ✚ **CIF (Cost, Insurance and Freight / ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი):** გამყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯები დანიშნულების პორტამდე. რისკი მყიდველზე გადადის მას შემდეგ, რაც საქონელი გემზე დაიტვირთება.
- ✚ **CPT (Carriage Paid To / ტრანსპორტირება გადახდილია მითითებულ ადგილამდე):** გამყიდველი იხდის საქონლის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების ღირებულებას. რისკი მყიდველზე გადადის საქონლის მის მიერ დასახელებული პირველი გადამზიდავისთვის გადაცემის მომენტში.
- ✚ **DAP (Delivered at Place / მიტანილია დანიშნულების ადგილას):** გამყიდველი პასუხისმგებელია საქონლის მითითებულ დანიშნულების ადგილამდე მიტანაზე, თუმცა გადმოტვირთვის ვალდებულების გარეშე.
- ✚ **FOB (Free on Board / ბორტზე მიწოდებული):** გამყიდველი პასუხისმგებელია საქონლის დატვირთვაზე მყიდველის მიერ დანიშნულ გემზე. რისკი და ხარჯები მყიდველზე გადადის, როგორც კი საქონელი გემზე განთავსდება.

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები

საბაჟო პროცედურებთან, ინკოტერმსის სრულ ჩამონათვალთან და საბაჟო კანონმდებლობასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის [ოფიციალურ პორტალს](#).

მნიშვნელოვანი შენიშვნები დოკუმენტაციისთვის

- ✚ **დოკუმენტური დასაბუთება:** ცხრილების შევსებისას აუცილებელია, რომ თითოეული ტრანზაქცია იყოს დოკუმენტურად დასაბუთებული.
- ✚ **ხარჯების ასახვა:** თუ შესყიდვა განხორციელდა, მაგალითად, CIF პირობით, ფასში უნდა იგულისხმებოდეს როგორც პროდუქტის ღირებულება, ისე საერთაშორისო გადაზიდვისა და დაზღვევის ხარჯები.
- ✚ **რეალისტურობა:** ინფორმაცია უნდა ასახავდეს რეალურ კომერციულ პირობებს და იყოს თანხვედრაში წარმოდგენილ ფინანსურ და საბაჟო დოკუმენტებთან.
- ✚ **მრავალფეროვანი პირობები:** იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვები განხორციელებულია სხვადასხვა პირობებით, დაინტერესებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს მათი შესაბამისი გამოყოფა ან წარმოდგენა განმარტების სახით.

5. მნიშვნელოვანი ტრანზაქციები (შესყიდვები და შემდგომი გაყიდვები)

დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ათი უმსხვილესი ტრანზაქციის შესახებ, რომელიც ეხება შესწავლის ობიექტის შემენასა და მის შემდგომ რეალიზაციას.

აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი კითხვარის შესაბამის ცხრილში (N9) და უნდა ასახავდეს თითოეული ტრანზაქციის სრულ ეკონომიკურ ჯაჭვს - შესყიდვიდან საბოლოო გაყიდვამდე. მონაცემები უნდა იყოს წარმოდგენილი ერთიან ვალუტაში და შესაბამის საზომ ერთეულში.

წარმოდგენილი მონაცემები უნდა იძლეოდეს ტრანზაქციის იდენტიფიცირების, შედარებისა და შეფასების შესაძლებლობას, მათ შორის მოცულობის, ღირებულების, ხარჯების და ფინანსური შედეგის განსაზღვრის მიზნით.

თითოეული ტრანზაქციისთვის წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

- ✚ პროდუქტის წარმოშობას;
- ✚ პროდუქტის უნიკალურ კოდს;
- ✚ შესყიდვის ინვოისის თარიღსა და ნომერს;
- ✚ შესყიდული და შემდგომ რეალიზებული პროდუქტის მოცულობას;
- ✚ შესყიდვის ღირებულებას;
- ✚ დამატებით ხარჯებს;
- ✚ შესყიდული პროდუქტის მთლიან ღირებულებას;
- ✚ გაყიდვის ინვოისის თარიღსა და ნომერს;
- ✚ გაყიდვების ღირებულებას;
- ✚ ტრანზაქციის შედეგად მიღებულ ფინანსურ შედეგს (მოგება ან ზარალი).

დამატებითი ხარჯები უნდა მოიცავდეს იმ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქტის ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და რეალიზაციამდე მოყვანასთან. აღნიშნული ხარჯები უნდა იყოს ცალკე გამოყოფილი და ასახული ისე, რომ შესაძლებელი იყოს შესყიდვის სრული ღირებულების განსაზღვრა.

დაინტერესებულმა პირმა უნდა დაურთოს თითოეული ტრანზაქციის დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის:

- ✚ შესყიდვისა და გაყიდვის ინვოისები;
- ✚ საბაჟო დეკლარაციები;
- ✚ ტრანსპორტირების დოკუმენტები;
- ✚ სხვა შესაბამისი პირველადი დოკუმენტები.

9 -მნიშვნელოვანი ტრანზაქციები (შესყიდვები და შემდგომი გაყიდვები)										
შესწავლის ობიექტის შესყიდვები								შესწავლის ობიექტის გაყიდვები		
წარმოების ქვეყანა	პროდუქტის უნიკ. კოდი	ინვოისის თარიღი და №	მოცულობა (ტონა)	შესყიდვის ღირებულება (EXW)	დამატებითი ხარჯები (*)- ტრანსპორტირება,	დამატებითი ხარჯები (*)- საბაჟო მომსახურება	მთლიანი ღირებ.**	ინვოისის თარიღი და №	გაყიდვების ღირებულება	მოგება***
ქვეყანა A	PC-001	01.02.2025 INV-001	—	—	—	—	—	15.03.2025 INV-S-010	—	—
ქვეყანა A	PC-002	01.02.2025 INV-001	—	—	—	—	—	20.04.2025 INV-S-011	—	—
ქვეყანა B	PC-002	10.03.2025 INV-002	—	—	—	—	—	20.04.2025 INV-S-011	—	—
სულ	—	—	—	—	—	—	—	—	—	—

(*) საზღვრის გადმოკვეთიდან კომპანიამდე მიტანის პროცესში წარმოშობილი ნებისმიერი დამატებითი ხარჯი

(**) მთლიანი ღირებულება= შესყიდვების ღირებულებას + დამატებითი ხარჯები

(***) მოგება= გაყიდვების ღირებულებას - მთლიანი ღირებულება

6. შესწავლის ობიექტის მთლიანი გაყიდვები

დაინტერესებულმა პირმა კითხვარის შესაბამის ცხრილებში (10(ა) და 10(ბ)) უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია შესწავლის ობიექტის მთლიანი გაყიდვების შესახებ, წარმოების ქვეყნისა და პროდუქტის უნიკალური კოდის მიხედვით. აუცილებელია ინფორმაციის წარდგენა ცალკე საქართველოში და ცალკე ექსპორტზე გატანილი პროდუქტის შესახებ.

ცხრილი 10(ბ) გაყიდვების ღირებულება უნდა ასახავდეს:

- ✚ წმინდა ღირებულებას (ყველა ფასდაკლების, შეღავათისა და კორექტირების შემდეგ);
- ✚ არ მოიცავდეს გადასახადებს;
- ✚ იყოს წარმოდგენილი ერთსა და იმავე ვალუტაში, რომლის მითითებაც სავალდებულოა.

საჭიროების შემთხვევაში, ცხრილებში წარმოდგენილი მონაცემები უნდა იყოს გამყარებული სააგენტოსთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტაციით.

10(ა) - შესწავლის ობიექტის გაყიდვები საქართველოში - მოცულობა					
წარმოების ქვეყანა	პროდუქტის უნიკალური კოდი	2024	2025	2026	შესწავლის პერიოდი
ქვეყანა A	PC-001				
ქვეყანა A	PC-002				
ქვეყანა B	PC-002				
სულ					

10(ბ) - შესწავლის ობიექტის გაყიდვები საქართველოში - ღირებულება					
წარმოების ქვეყანა	პროდუქტის უნიკალური კოდი	2024	2025	2026	შესწავლის პერიოდი
ქვეყანა A	PC-001				
ქვეყანა A	PC-002				
ქვეყანა B	PC-002				
სულ					

7. სადისტრიბუციო სისტემა და ფასები

დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია კომპანიის სადისტრიბუციო სისტემის, გაყიდვების არხებისა და ფასების ფორმირების მექანიზმის შესახებ.

წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას შეფასდეს, რა გზით ხდება პროდუქტის რეალიზაცია, როგორ ყალიბდება ფასი და რა გავლენას ახდენს დამატებითი ხარჯები საბოლოო გასაყიდ ფასზე.

7.1. სადისტრიბუციო სისტემა და გაყიდვის არხები

დაინტერესებულმა პირმა უნდა აღწეროს სადისტრიბუციო ქსელი იმ ეტაპამდე, სადაც პროდუქტი მიეწოდება პირველ არადაკავშირებულ მომხმარებელს.

აღწერა უნდა მოიცავდეს:

- ✚ სადისტრიბუციო ჯაჭვის სტრუქტურას;
- ✚ შუამავლების ან დისტრიბუტორების არსებობას;
- ✚ პროდუქტის გადაადგილების გზას იმპორტიდან საბოლოო მომხმარებლამდე.

დაინტერესებულმა პირმა უნდა შეავსოს მე-11 ცხრილი და წარმოადგინოს ბრუნვის განაწილება შემდეგი არხების მიხედვით:


- ✚ საბითუმო მოვაჭრეები;
- ✚ საცალო მოვაჭრეები;
- ✚ საბოლოო მომხმარებლები;
- ✚ სხვა არხები (დეტალური მითითებით).

ასევე, უნდა იქნეს აღწერილი განსხვავებები აღნიშნულ არხებს შორის და მათი გავლენა ფასებზე.

დაინტერესებულმა პირმა ასევე უნდა აღწეროს მომხმარებელთა კატეგორიები და მათი კომერციული პირობები, მათ შორის:

- ✚ მიწოდების პირობები;
- ✚ გადახდის ვადები;
- ✚ ტრანსპორტირების და შეფუთვის ხარჯები;
- ✚ ფასდაკლებების სისტემა.

სადისტრიბუციო ჯაჭვის სტრუქტურა - მაგალითი



7.2. ფასების დაწესება

დაინტერესებულმა პირმა უნდა განმარტოს, როგორ განისაზღვრება შესწავლის ობიექტის გაყიდვის ფასი და რა ფაქტორები ახდენს გავლენას საბოლოო გასაყიდ ფასზე.

თუ ფასების საფუძველი არის „პრაის-ლისტი“, უნდა იყოს წარმოდგენილი:

- ✚ შესწავლის პერიოდში გამოყენებული ფასების სიები;
- ✚ მათი გამოყენების წესი;
- ✚ ფასის კორექტირების მექანიზმები (მათ შორის ფასდაკლებები და ინდივიდუალური პირობები).

დაინტერესებულმა პირმა ასევე უნდა მიუთითოს, როგორ ხდება „პრაის-ლისტის“ გამოყენება საბოლოო გაყიდვის ფასის განსაზღვრისას.

თუ „პრაის-ლისტი“ არ გამოიყენება, უნდა იყოს წარმოდგენილი:

როგორ და რის საფუძველზე ხდება ფასებზე შეთანხმება მოლაპარაკებების პროცესში;

- რა ფაქტორები განსაზღვრავს საბოლოო ფასს (მაგ. მოცულობა, მომხმარებლის ტიპი, ბაზრის პირობები და სხვა).

ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი ხელშეკრულებების ასლები.

დაინტერესებულმა პირმა უნდა აღწეროს ფასებზე მოლაპარაკებების პროცესი და წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია მნიშვნელოვან მომხმარებლებთან დაკავშირებით, ისე რომ დაფარული იყოს კომპანიის გაყიდვების მინიმუმ 30%.

ამასთან, უნდა იყოს წარმოდგენილი:

- სრული დოკუმენტაცია მინიმუმ სამი გაყიდვის ტრანზაქციისთვის;
- ტრანზაქციები უნდა იყოს განხორციელებული არადაკავშირებულ მომხმარებლებზე;
- ტრანზაქციები უნდა მოიცავდეს სხვადასხვა სადისტრიბუციო არხს.

7.3. დამატებითი ხარჯები

დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია იმ ხარჯების შესახებ, რომლებიც წარმოიშობა შესწავლის ობიექტის იმპორტირებიდან, მის რეალიზაციამდე.

დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს ყველა შესაბამისი ხარჯი და შეაფასოს მათი წილი:

- როგორც პროცენტული მაჩვენებელი შესყიდვის ფასთან მიმართებით; და/ან
- როგორც ფიქსირებული ოდენობა პროდუქტის თითო საზომ ერთეულზე (მაგ. ლარი/ტონა).

აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით უნდა შეივსოს მე-12 ცხრილი.

დაინტერესებულმა პირმა, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა დააკონკრეტოს თითოეული ხარჯის სახეობა და წარმოადგინოს შესაბამისი განმარტება.

12 - დამატებითი ხარჯები				
ხარჯის სახეობა	ლარი/ტონა (ან სხვა საზომი ერთეული)	შესყიდვის ფასის %	იმპორტამდე/იმპორტისას/იმპორტის შემდეგ	შენიშვნა
საზღვაო/სარკინიგზო/საავტომობილო ტრანსპორტირება				
დაზღვევა				
საბაჟო მოსაკრებელი				
საბანკო ხარჯები				
საწყობის ხარჯები				
შიდა ტრანსპორტირება				
დისტრიბუცია				
მარკეტინგი				
სხვა				

8. დასაქმების მაჩვენებლები

დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია კომპანიის დასაქმების მაჩვენებლების შესახებ, რაც აუცილებელია კომპანიის ოპერაციული მასშტაბის, რესურსების განაწილებისა და შესწავლის ობიექტთან დაკავშირებული საქმიანობის მნიშვნელობის შეფასებისთვის.

აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით უნდა შეივსოს მე-13 ცხრილი.

13 - დასაქმება	2024	2025	2026	შესწავლის პერიოდი
სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა რაოდენობა				
შესწავლის ობიექტთან დაკავშირებული საქმიანობისათვის სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა რაოდენობა				

დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს:

- ✚ კომპანიის მიერ დასაქმებული პირების საშუალო რაოდენობა სრულ განაკვეთზე;
- ✚ იმ თანამშრომლების საშუალო რაოდენობა, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული შესწავლის ობიექტთან დაკავშირებულ საქმიანობაში (მაგ. იმპორტი, ლოგისტიკა, გაყიდვები, დამუშავება და სხვა).

დაინტერესებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს, რომ:

- ✚ წარმოდგენილი მონაცემები იყოს ზუსტი და თანმიმდევრული;
- ✚ დასაქმებულთა რაოდენობა ასახავდეს რეალურ საშუალო მაჩვენებელს შესაბამის პერიოდში;
- ✚ შესწავლის ობიექტთან დაკავშირებული დასაქმება იყოს მკაფიოდ გამოყოფილი კომპანიის საერთო დასაქმებიდან.

იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულთა ზუსტი გამოყოფა შესწავლის ობიექტთან დაკავშირებული საქმიანობის მიხედვით შეუძლებელია, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს დასაბუთებული შეფასება ან შესაბამისი განმარტება.

9. მოგება/ზარალი

დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია კომპანიის ფინანსური შედეგების შესახებ, კერძოდ, მოგება/ზარალის მაჩვენებლები, რაც აუცილებელია შესწავლის ობიექტთან დაკავშირებული საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისთვის.

აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით უნდა შეივსოს მე-14 ცხრილი.

14 - მოგება/ზარალი (ბრუნვის წილი %)	2024	2025	2026	შესწავლის პერიოდი
მთლიანად კომპანია				
შესწავლის ობიექტი				

დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს:

- ✚ კომპანიის მთლიანი მოგება/ზარალი ბრუნვის პროცენტული წილის სახით;
- ✚ შესწავლის ობიექტთან დაკავშირებული გაყიდვებიდან მიღებული მოგება/ზარალი.

დაინტერესებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს, რომ:

- ✚ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნებოდეს ფინანსურ და ბუღალტრულ ჩანაწერებს;
- ✚ მოგება/ზარალი იყოს გამოთვლილი თანმიმდევრული მეთოდოლოგიით ყველა პერიოდისთვის;
- ✚ მონაცემები იყოს შედარებადი სხვადასხვა წლების კრილში.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია შესწავლის ობიექტთან დაკავშირებული მოგება/ზარალის ცალკე გამოყოფა, დაინტერესებულმა პირმა უნდა:

- ✚ მიუთითოს შესაბამისი პროდუქტის ჯგუფი;
- ✚ წარმოადგინოს კალკულაცია, თუ როგორ არის განაწილებული ხარჯები და მოგება;
- ✚ განმარტოს გამოყენებული მეთოდოლოგია.

10. სხვა საკითხები

მოცემული სექციის მიზანია შესწავლის მონაწილეების ინტერესების ერთიანი შეფასება, რაც მოიცავს ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესაძლო გავლენის ანალიზს, როგორც ბაზრის მონაწილეებზე, ასევე მომხმარებლებზე. წარმოდგენილი ინფორმაცია გათვალისწინებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამყარებულია შესაბამისი მტკიცებულებებით.

10.1. ბაზრის წილი

დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია შესწავლის ობიექტის ბაზარზე მისი სავარაუდო წილის შესახებ და შეავსოს ცხრილი 15(ა).

15(ა) სავარაუდო ბაზრის წილი საქართველოში	
მწარმოებელი ქვეყანა	ბაზრის წილი
ქვეყანა A	
ქვეყანა B	

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები უნდა ეფუძნებოდეს რეალურ ან შეფასებულ ბაზრის მოცულობას და იყოს დასაბუთებული შესაბამისი წყაროებით ან მეთოდოლოგიით.

10.2. მომხმარებლები

დაინტერესებულმა პირმა უნდა დაასახელოს შესწავლის ობიექტთან დაკავშირებული ხუთი მთავარი მომხმარებელი და შეავსოს ცხრილი 15(ბ). წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა ასახავდეს კომპანიის გაყიდვების მნიშვნელოვან ნაწილს.

15(ბ) მთავარი მომხმარებლები		
კომპანიის დასახელება	შესყიდვის მოცულობა	შესყიდვის ღირებულება
კომპანია A		
კომპანია B		
კომპანია C		
კომპანია D		
კომპანია E		

10.3. მიწოდებლები

დაინტერესებულმა პირმა უნდა დაასახელოს შესწავლის ობიექტის ხუთი მთავარი მომწოდებელი და შეავსოს ცხრილი 15(გ).

15(გ) მთავარი მომწოდებლები		
კომპანიის დასახელება	შესყიდვის მოცულობა	შესყიდვის ღირებულება
კომპანია A		
კომპანია B		
კომპანია C		
კომპანია D		
კომპანია E		

10.4. ბაზრის ზოგადი შეფასება

დაინტერესებულმა პირმა უნდა აღწეროს ბაზარი, რომელზეც ოპერირებს, შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

- ბაზრის კონცენტრაციის დონე (კომპანიების რაოდენობა და მათი მნიშვნელობა);
- ძირითადი კონკურენტები და მათი სავარაუდო ბაზრის წილები;
- ფასების დონე და კონკურენტული დინამიკა;
- ბაზარზე მოქმედი ძირითადი ტენდენციები.

დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს, არსებობდა თუ არა წარსულში კონკურენციის საწინააღმდეგო ქცევის შემთხვევები შესწავლის ობიექტთან დაკავშირებით. არსებობის შემთხვევაში, წარმოადგინოს შესაბამისი განმარტება და მტკიცებულებები.

დაინტერესებულმა პირმა უნდა შეაფასოს, რამდენად შესაძლებელია კომპანიისთვის ალტერნატიული მომწოდებლების მოძიება, სხვა ბაზრებიდან იმპორტზე გადართვა ან მიწოდების დივერსიფიკაცია.

10.5. ზიანის სხვა შესაძლო მიზეზები

დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ბაზარზე ან ინდუსტრიის მდგომარეობაზე, გარდა იმპორტისა.

დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს, მოახდინა თუ არა ბოლო წლებში რაიმე გარე ფაქტორმა გავლენა:

- ✚ ფასებზე;
- ✚ ბაზრის წილებზე;
- ✚ მოთხოვნასა და მიწოდებაზე.

ასეთი ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს:

- ✚ ნედლეულის ფასების ცვლილებას;
- ✚ ლოგისტიკურ შეფერხებებს;
- ✚ რეგულაციურ ცვლილებებს;
- ✚ მაკროეკონომიკურ პირობებს და სხვა.